მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი, 1942 წ. № 256 (6572). ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა თბილისი

კავკასიის მამაცო დამცველებო! დაიცავით ყოველი მეჯაველი სამშობლო მიწა. ანადგურეთ საძულველი მტერი! გაუმარჯოს კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხებს!

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისათვის

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს XXV წლისთავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისას, რომელმაც დაამხო იმპერიალისტების ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში და გამოაცხადა მშვიდობა მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის!

2. ძირს გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი, ევროპის ხალხთა პირსისხლიანი დამმონებელნი, მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დაუძინებელი მტრები!

3. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! საბჭოთა ხელისუფლების 25 წლის განმავლობაში თქვენ შეჰქმენით მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიული და საკოლმეურნეო სახელმწიფო. მთელი ძალებით დაიცავით თქვენი მრავალი წლის შრომის ნაყოფი!

4. ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო და მეთაურებო, პარტიზანებო—ქალები და კაცები! თქვენი სიცოცხლის დაუზოგავად დაიცავით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი, ჩვენი სამშობლოს თავისუფლება, ღირსება და დამოუკიდებლობა! უსმობლად ულიტეთ პიტლერელი ავაზაკები!

5. მუშებო და გლეხებო, საბჭოთა ინტელიგენციავ! მტერს ხურს ხელთ იგდოს ჩვენი მიწა-წყალი, გერმანელი ბარონთა მონებად გადაგვაქციოს. დაკიცავთ ჩვენი სამშობლო! ხალხს მთელი ძალები საძულველი მტრის განადგურებლად!

6. სალამი ევროპის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ! ევროპის ქვეყნების პატრიოტებო, აღსდექით საბრძოლველად ფაშისტთა ულლისაგან თქვენი განთავისუფლებისათვის! დაამხეთ ჰიტლერული ტირანია! გაუმარჯოს ევროპის განთავისუფლებას ჰიტლერელი კაცეტამეებისაგან!

7. ძმებო ჩაგრული სლავებო! აღსდექით წმიდა ხალხური ომისათვის ჰიტლერელი იმპერიალისტების—სლავობის მოსისხლე მტრების წინააღმდეგ! გაუმარჯოს სლავი ხალხების საბრძოლო ერთიანობას!

8. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხების საბრძოლო კავშირს, რომლებიც სამართლიან განმთავისუფლებელ ომს ეწევიან გერმანია-იტალიის ავაზაკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

9. ძირს ჰიტლერელ მმართველთა და მათ ხელმქმეყობთა პირსისხლიანი ბოროვა! სასტიკი პასუხი მოვთხოვოთ საბჭოთა კავშირის ხალხებისა და ევროპის ყველა ოკუპირებული ქვეყნის ხალხების წინააღმდეგ საშინელ ბოროტმოქმედებათა და სისხლიან დანაშაულობათა ორგანიზატორებს!

10. საბჭოთა სამშობლოსათვის მიდგან ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები. გაუმარჯოს წითელ არმიას—სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიას!

11. სტალინგრადის სახელოვანნო დამცველნო! თქვენთან არის მთელი საბჭოთა ხალხი. იბრძოლეთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, უსმობლად ანადგურეთ, უკუაგდეთ და ულიტეთ მტრის ურდოები! გაუმარჯოს სტალინგრადის გმირ დამცველებს!

12. მგზნებარე სალამი ლენინგრადის გმირ დამცველებს! გაუმარჯოს ლენინგრადელებს, ჩვენი სამშობლოს სახელოვან პატრიოტებს—ქალებსა და კაცებს!

13. კავკასიის მამაცო დამცველებო! დაიცავით ყოველი მტკაველი სამშობლო მიწა, ანადგურეთ საძულველი მტერი! გაუმარჯოს კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხებს!

14. წითელი არმიის მეომრებო! უსასტიკესი წესრიგი და რკინისებური დისციპლინა საწინდარია მტერზე ჩვენი გამარჯვებისა. ყოველნაირად განამტკიცეთ დისციპლინა და წესრიგი ჩვენს არმიაში!

15. წითელი არმიის მეომრებო! უსმობლად იძიეთ შური გერმანელ ფაშისტ არამზადებზე ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გაძარცვისა და დარბევისათვის, ქალებისა და ბავშვებისადმი ძალადობის ჩადენისათვის, საბჭოთა ადამიანების დახოცვისათვის! სისხლი სისხლისა წილ! სიკვდილი სიკვდილისა წილ!

16. წითელი არმიის ქვეითებო! მტკიცედ დაიცავით ყოველი მტკაველი საშობლო მიწა! მოსპეთ მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა! გახსნილნეთ საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. გაუმარჯოს საბჭოთა ქვეითებს!

17. წითელი არმიის არტელერისტებო და ნაღმმტყორცნელებო! მძლავრი ცეცხლითა დარტყმებით მოსპეთ მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა! გაუმარჯოს საბჭოთა არტელერისტებსა და ნაღმმტყორცნელებს!

18. საბჭოთა მფრინველებო—ჩვენი სამშობლოს შვილნენო! უსმობლად და ბეჯითულად ანადგურეთ მტერი ბაერში—და მიწაზე! გაუმარჯოს საბჭოთა მფრინველებს!

19. წითელი არმიის ტანკისტებო! გაბედულად ულიტეთ მტერი! გაადიდეთ ჩვენი ქვეითი ჯარის ძალა თავდაცვაში, დიუმპრეთ ჩვენს ქვეითს ჯარს შეტევაში! გაუმარჯოს საბჭოთა ტანკისტებს!

20. წითელი არმიის კავალერისტებო! დონის, უუბანისა და თერგის მამაცო კაზაკებო! გაბედულად და მამაცურად ჰკაფეთ მტრის ჯარები! გახსწყვეტეთ გერმანელი ფაშისტი უწმინდურები! გაუმარჯოს საბჭოთა ცხენოსნებს!

21. სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელებო და მეთაურებო! უფრო მაგრად დაარტყეთ მტერს! ანადგურეთ მტრის ხომალდები და ტრანსპორტები, უსმობლად ულიტეთ პიტლერელი დამპყრობლები! გაუმარჯოს საბჭოთა მეზღვაურებს!

22. დიდება საბჭოთა კავშირის გმირებსა და სოციალისტური შრომის გმირებს—ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს!

23. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გვარდიელებო! ღირსეულად ატარეთ სახელოვანი გვარდიის დროშები! იყავით სიმამაცისა და გულადობის, დისციპლინისა და სიმტკიცის მაგალითი მტერთან ბრძოლაში! გაუმარჯოს საბჭოთა გვარდიას!

24. წითელი არმიის მეომრებო! სრულყოფილად შეისწავლეთ თქვენი იარაღი, გახდით თქვენი საქმის ოსტატები, მიბრძანენი ურტყით გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს მათს სრულ გაულტაფვამდე!

25. წითელი არმიის მეთაურებო! დაუფლალად ამალეთ ჯარის ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო სწავლება, განამტკიცეთ დისციპლინა და ერთმმართველობა, სრულყოფილად შეისწავლეთ ჯარის გვარეობათა თანამოქმედების საქმე, გახდით ჯარის წინამძღოლობის ოსტატები!

26. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მესაზღვრეებს, საბჭოთა საზღვრების ერთგულ დამცველებს!

27. ძმებო და დებო! რუსებო, უკრაინელებო, ბელორუსებო, მოლდაველებო, ლიტველებო, ლატვიელებო, ესტონელებო, კარელებო, რომლებიც დროებით მოხვდით გერმანელი ფაშისტი არამზადების უღელქვეშ! უსმობლად ულიტეთ ფაშისტი დამპყრობლები, აღვიდეთ საყოველთაო-სახალხო პარტიზანული მოძრაობის ცეცხლი!

28. საბჭოთა პარტიზანებო—ქალები და კაცებო! ანგრიეთ მტრის ზურგი, მოსპეთ მისი შტაბები, ანგრიეთ რკინიგზები და ხიდები, სწვეთ და აფეთქეთ საწყობები და ყაზარმები, ულიტეთ მტრის ცოცხალი ძალა, ხოცეთ გერმანელთა ხელისუფლების წარმომადგენლები! დღითი-დღე აძლიერეთ მტრისათვის დარტყმა!

29. გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

30. გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის ძმურ კავშირს!

31. ფრონტისათვის საჭურველისა და სამარი მასალის დამამზადებელ თანამონა მუშებო—ქალები და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ შაშხანების, ავტომატების, ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების, ქვემეხების, ყუმბარების გამოშვება! ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!

32. სატანკო ქარხნების მუშებო—ქალებო და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მიეცით წითელ არმიას მეტი საბრძოლო მანქანები! რაც უფრო მეტია ტანკი, მით უფრო ახლოს არის მტერზე გამარჯვების ჟამი!

33. საავიაციო ქარხნების მუშებო—ქალები და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ საბრძოლო მანქანების გამოშვება, მოგვეცით მეტი ავიაგამანადგურებელი, მოიერიშე, ბომბდამშენი თვითმფრინავები წითელი არმიისათვის!

34. ნავთის მრეწველობის მუშებო—ქალებო და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ნავთის მოპოვება! მოგვეცით ფრონტისა და მრეწველობის მეტი საწვავი!

35. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო—ქალები და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! თქვენზეა დამოკიდებული ტრანსპორტისა და მრეწველობის შეუფერხებელი მუშაობა. გაადიდეთ ქვანახშირის ამოღება, უზრუნველყავით სათბობით ფრონტისა და ზურგის მთელი მოთხოვნილება!

36. მეტალურგიული ქარხნების მუშებო—ქალები და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მეტი ლითონი ტანკებისა, თვითმფრინავებისა, ქვემეხებისა, ტყვიამფრქვევებისა და ყუმბარებისათვის!

37. მოტორთმშენებელი მრეწველობის მუშებო—ქალები და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! თანამედროვე ომი მოტორების ომია. გაადიდეთ თვითმფრინავებისა, ტანკებისა, ავტომობილებისა და გემებისათვის მოტორების წარმოება!

38. მსუფაქი და საფეიქრო მრეწველობის მუშებო—ქალები და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დღითი-დღე ზარდეთ წითელი არმიისათვის ტანსაცმლისა და მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საქონლის წარმოება!

39. კვების მრეწველობის მუშებო—ქალები და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! სულ უფრო და უფრო გაადიდეთ ფრონტისათვის და მოსახლეობის მომარაგებისათვის კვების პროდუქტების წარმოება!

40. ადგილობრივი მრეწველობის მუშებო—ქალები და კაცებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მეტი ინიციატივა ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში. გაადიდეთ მოსახლეობისა და წითელი არმიისათვის საქონლის გამოშვება!

41. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! უფრო სწრაფად ატარეთ მატარებლები! იბრძოლეთ რკინიგზების შეუფერხებელი, ზუსტი მუშაობისათვის!

42. საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის მუშაკებო! გაადიდეთ ფრონტისათვის და სახალხო მეურნეობისათვის ტვირთის მიმოზიდვა!

43. საბჭოთა ქვეყნის მშრომელებო! მომგერნეობა ყველაფერში ომიანობის დროის კანონია. მომგერნეთ ხარჯეთ სახელმწიფო სახსრები, დაზოგეთ საობობი, ნედლეული, ელექტროენერგია!

44. კოლმეურნეებო—ქალები და კაცებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო—ქალები და კაცებო! მოეცით ფრონტს და ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათი და ნედლეული მრეწველობისათვის! მთელი ძალღონე მოიკრიბეთ ფრონტის დახმარებას, მტრის განადგურებას! ყველაფერი ფრონტისათვის!

45. საბჭოთა ინტელიგენციავ! საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო, ინჟინრებო, მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებო! მთელი ძალ-ღონე და ცოდნა მოვახმაროთ გერმანელ ფაშისტ დამმონებლებთან ბრძოლის საქმეს!

46. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ დისციპლინა წარმოებაში! რკინისებური დისციპლინა და ორგანიზეულობა მტერზე ჩვენი გამარჯვების საწინდარია!

47. საბჭოთა ქალებო! დაუფლეთ მამაკაცის პროფესიებს, შეისწავლეთ ფრონტზე წასული მამაკაცები! შეისწავლეთ სპეციალი და ქიმიური თავდაცვის საქმე, კავშირგაბმულობა! მთელი ძალები გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის!

48. სსრ კავშირის მოქალაქეთა—ქალთა და კაცთა საყოველთაო სამხედრო სწავლება ჩვენს თავდაცვას განამტკიცებს. საბჭოთა პატრიოტებო—ქალები და კაცებო! შეისწავლეთ სამხედრო საქმე! იყავით სამშობლოს უნარიანი დამცველნი!

49. „საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს სიმამაცე, გამბედაობა, უშიშრება ბრძოლაში, მზადყოფნა ომისათვის, რომ ხალხთან ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ“ (სტალინი).

50. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში!

51. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამშობლოს, მის თავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას!

52. გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის ორგანიზატორს!

საბჭოთა კავშირის გმირი პ. ბეგბეშიძე და საბჭოთა კავშირის გმირი მ. ბაბოკინი

საბჭოთა ფლოტის გმირი

„საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონის მეთაურმა არკადი გეგეშიძემ თავი გამოიჩინა როგორც ნამდვილმა გმირმა. მტკიცე, ენერგიული, მომთხოვნელი თავის თავისა და ხელქვეითებისადმი, იგი არა ერთხელ იერიფეს მტრის იერიშს და არა ერთხელ გადასულა კონტრიერიშზე. ალერთოვანებულად იბრძოდნენ ესეთნაირადვე ... ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, მისმა ბატალიონმა არა ერთი ათასი ფაშისტი გაფლეტა. მეზრძოლნი, ალერთოვანებულნი მეთაურის პირადი მაგალითით, იბრძოდნენ უკანასკნელ ვაზნამდე. უკანასკნელ გულისძგერამდე. კაპიტან გეგეშიძეს ყველაზე ხაშინ უბნებზე გზავნიდნენ. მას არა ერთხელ გაუწყრნენია თვალი სიკვდილისათვის, და სიკვდილი უკან იხევდა მის წინაშე. პატიოსნ და დიდება გმირს! ახეთებით, როგორიც არის იგი, ძლიერია ჩვენი არმია, ძლიერია ჩვენი ოლიტი“.

(„იზვესტიას“ 24/X-ის მოწინავე სტატიიდან)

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 ოქტომბრის დღის ცნობა

26 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ტანსაღნაგრადის რაიონში და ტუფფეს ჩრდილო-აღმოსავლეთით, სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში შეუპოვარი ბრძოლა გრძელდება. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის იერიშები, ამ ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა 6 ტანკი და ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ტუფე გერმანელმა ჯარისკაცებმა გვაცნობეს, რომ გერმანელთა 305-ე ქვეითი დივიზიის ასეულებში სულ რაღაც 20-30 ჯარისკაცი დარჩა თითოეულში, დანარჩენები მოკლულნი ან დაჭრილნი არიან უკანასკნელ ბრძოლებში. ქალაქის სამხრეთ გარეუბნებში ჩვენმა ნაწილებმა კონტრიერიშით მიიტანეს პიტლერელებზე და მოსპეს მტრის 10 სატანკოფეხოსანი ურტყი, დაარღვიეს 26 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი და გამოუსვეტეს [illegible] გერმანელთა ოთხ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან. მტერს ამ უბანზე დიდი ზარალი მოსდო. მარტო ერთმა სპეციალურ ქვეითმა ნაწილმა გასწყვიტა 300-მდე პიტლერელი, დაზარა 2 ტანკი, 6 ტანკეტი, 3 ... 2 ... 2 ... 2

საბჭოთა კავშირის გმირი არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძე



საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან ა. გეგეშიძის შეხვედრა თბილისს სტახანოველებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში. ტრიბუნაზე—საბჭოთა კავშირის გმირი ა. გეგეშიძე.

სახელი და დიდება ჩვენს გმირს

უდიდესი სიხარული და აღტაცება გამოიწვია ჩვენში ცნობამ, რომ ქართველი ხალხის შვილს, სევასტოპოლის გმირული დაცვის საბჭოთა მონაწილეს, ორდენოსან კაპიტან ამხ. ა. ს. გეგეშიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. სამაყოა ყველა ჩვენგანისათვის, რომ ქართველმა ხალხმა დიად საბჭოთა კეკუასის მისცა ისეთი უშიშარი მებრძოლება, როგორიც არიან ვ. ნანეიშვილი, ა. სულიბერიძე, ი. ხმალაძე, ნ. ადამია, ა. გეგეშიძე.

სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილეებმა ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს სამამული ომის ისტორიაში. მომავალი თაობა მოწიწებითა და ღრმა სიყვარულის გრძნობით წარმოთქვამს ამ სახელებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ეს ქალაქი მთელი რვა თვის განმავლობაში შეინარჩუნეს გერმანელ ფაშისტთა ურდოების შემოტეხვისგან და ამით ჩაუშვეს პიტალერელ მტაცებლთა ვერაგული გეგმები. საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ა. გეგეშიძის სახელი ცნობილი იყო სევასტოპოლის ყველა დამცველისათვის.

ვიოლოცავ ამხ. ა. ს. გეგეშიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებას და ვუსურვებ მას დიდგრძელობას ჩვენი საბჭოთა სამშობლოს, ლენინ-სტალინის დიდი საქმის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის გმირი მ. ბახოკიძე

შეხვედრა გმირთან

დარბაზი ხალხით იყო გამეფილი. აქ შეკრებილიყვნენ თბილისის საწარმოთა საუკეთესო წარმომადგენლები, მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მეცნიერებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების, გამოჩენილი მოღვაწეები, დედა-ქალაქის პრრომელი ინტელიგენციის წარომადგენლები, მუშკორები, ძირეული პრესის მუშაკები.

ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში შეიკრიბნენ ყველა ისინი, რათა ენახათ და მისალმებოდნენ ქართველი ხალხის სახელოვან შვილს სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილეს, საბჭოთა კავშირის გმირს, კაპიტან ა. ს. გეგეშიძეს.

ტაშის გრიალმა ერთხმაშად დაარღვია სიჩუმე. დარბაზში გამოჩნდა ამხ. არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძე. მასთან ერთად შემოვიდნენ საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მ. ბახოკიძე, სამამული ომის სახელოვანი მონაწილე, საზღვაო ავიაციის პოლკოვნიკი ამხ. გ. ხალტაჩიშვილი და სხვ.

შეხვედრაზე თავის სიტყვაში გაზეთი „კომუნისტის“ პასუხისგებელი რედაქტორი ამხ. ვ. ხატაიშვილი შეეხო სევასტოპოლის გმირული დაცვის ბრწყინვალის და ამ ეპიკის ერთ-ერთი სახელოვანი მონაწილის, საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ა. გეგეშიძის სახელოვანი ცხოვრების.

ტრიბუნაზე გამოჩნდა ამხ. ა. გეგეშიძე. მთელი დარბაზი მხურვალე ოვაციით შეხვდა მის გამოსვლას.

— სამამაცის, ვაჟკაცობის, შეუპოვრობის და უშიშრობის მაგალითები გვიჩვენეს სევასტოპოლელებმა,—თქვა ამხ. გეგეშიძემ.—მათმა გმირობამ აღაფრთოვანა წითელი მებრძოლები ახალი სამამული საქმეებისათვის და ჯერ-ჯერობით ტალინიერადისა და კაკასიისათვის, ბრძოლაში ჩვენი სახელოვანი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი ახალ ბრწყინვალე ფურცლებს წერენ სამამული ომის ისტორიაში...

დიდი მეხერთმოვიარის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წითელი არმია გაათავისუფლებს ჩვენს ქვეყანას გერმანელი დამპყრობლებისაგან.

გაუმარჯოს ჩვენს მამას, მასწავლებელს, ჩვენს ყველ მხეთრთმოვიარს, ამხანაგ სტალინს!

დარბაზში კვლავ ჭექეს ტაში. კვლავ ამარტოა მხურვალე ოვაციი დიდი სტალინის პატივსაცემად.

ტრიბუნაზე ადის საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მ. ბახოკიძე. იგი მიესალმება ამხ. ა. გეგეშიძეს და ულოცავს მას ახალ წარმატებებს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ა. გეგეშიძისადმი მიმართული მისასალმებელი სიტყვით გამოდის ალად. კ. ყეკელაძე. იგი მას მიესალმება საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სახელით და იძლევა სიტყვას, რომ საქართველოს მეცნიერ მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ საზეზარი მტრის განსადგურებლად და ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

საქართველოს საბჭოთა მწერალთა სახელით სიტყვას ამბობს ოთარ ფანსონი პოეტი ამხ. ი. აბაშიძე.

— ქართველი მწერლები, და პოეტები,—ამბობს ივი.—ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ შთამომავლობას გადასცენ ჩვენი ხალხის ამ საამაყო გმირთა, საშობლოს სახელოვან დამცველთა საგმირო ამბები.

ტალინის, სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვ. ბატონაძე.

რუსულენოვანი ხელოვნების მუშაკთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ა. ფუწუნავამ.

— ჩვენი არსებობა და სიცოცხლე,—სთქვა მან,—დაავალირებულია საბჭოთა სახელმწიფოს არსებობისთვის. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ცხოვრება დაავალირებულია ლენინ-სტალინის პარტიასთან, დიდ სტალინან. ამიტომ არის რომ ხალხს განსაკუთრებით უყვარს ჩვენი ქვეყნის დამცველები, ჩვენი გმირები.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან: თბილისის საწარმოთა მუშების სახელით — ორდენოსანი ცხინვალელი ამხ. გ. ბაელიანი, ალ. „კომეფლოტის“ სტამბის მუშაკთა-სამსახურეთა სახელით ამხ. მარო ტატიანიანი.

შეხვედრაზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს ორდენოსანმა პოეტებმა ბ. მოსაშვილმა და ა. მაშაშვილმა, აგრეთვე ახალგაზრდა პოეტებმა ა. ნონაშვილმა და ა. თევზაძემ.

დასასრულ ამხ. ვ. ხატაიშვილმა დამსწრეთა სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. ა. გეგეშიძეს შეხვედრისათვის და ეუსურვა მას ახალი გამარჯვებები ჩვენი ხალხის, ლენინ-სტალინის, დიადი პარტიის საკეთილდღეოდ.

დიდხანს ისმოდა მჭეხარე ტაში სოციალისტური სამშობლოს და მისი დამცველი გმირი წოლილი არმიის სადიდებლად, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის გმირს ა. ს. გეგეშიძეს

შენი გმირობის ამბავი
ქვეყანას მოსდო გაზეთმა,
ზვარში თმათეთრი მოხუცი
წამით შეჩერდა ვაზებთან;
კრემლის ვარსკვლავთა ლალებად
მოფრინდა დედაქალაქთ.
ბალში ლამაზმა ქალებმა
წუთით ჩამოდგეს კალთონ.
მოფრინდა როგორც ნუგეში,
ხეხილს შეამტაკა ბარაქა,
მარნების იარლუღებში
მზის შუქად ჩამოანათა.
დადგა შრიალი გაზეთის,
ჩუმჩუმი წამოძახება:
„დედამ გაზარდოს ასეთი,
მეტი რა უნდა სახელად.
ესმოდა ქვეყნის ძახილი,
მტერს მოჰკადავდა როდესაც,
იცავდა თავის მახვილით
სევასტოპოლს და ოდესას.
დევნა რკინის მკვნეტელი,
ამირანია ეგება —
კვეკასიონის კედელი
დუშმანთა სისხლით შეღება“.
გმირო, ჯერ კიდევ ბევრია
მტრის სისხლი დაუნთხეველი.
მოგძახის მიწა დამწვარი,
გადაარსული ფაფარ-ველი,
ბავშვი მოგძახის ობოლი,
მტრებმა რომ ცრემლად დაადნეს,
მოხუცი უყრაინელი,
ქუდზე რომ ხუნდი დაადეს.
კალდამეზიდან წინაპრის
სული მოგძახის გმირული:
დე მტრის თავზე ბრწყინავდეს
გორდა ფხაკმაპირული.
ჩვენი სიფლავი დაიცვი,
ჩვენ ხომ შენს აკვანს ვიცავდით,
მტერს დაუბნელე აისი,
ელულ დაიყარე მიწანი.
დე ბოლავდეს ნისლივით
ორთქლი სისხლიან ხმალისა,
სოდ მიგანდეს გუბუნი
ტყვიები ქარიშხლისა.

საბჭოთა კავშირის გმირი ა. გეგეშიძე

ჩინეთის ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭოს სხდომა

ჩუნცინი, 26 ოქტომბერი (საადგსი). ჩუნცინში ვიიხსნა ჩინეთის ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭოს მორიგი სესია. ესწრებნა 200-ზე მეტი კაცი. სესიაზე სიტყვა წარმოსთქვეს ჩან კაი-შეკ და ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლინ სუნმა. სესიიან მოისმინა მთელი რიგი მოხსენებანი, მათ შორის ფინანსთა მინისტრის კუნ სიანსის და სახალხო მეურნეობის მინისტრ ვენ ვენ-ხაოს მოხსენება. ფინანსთა მინისტრმა კუნ სიანსიმ ბაზაისმინ აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს უურადღება მიმართული იყო იმ დიდი მოთხოვნების დ